საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2953-02
29/11/2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა საფეხურის საგამოცდო პროცესთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების წესის, პირობების და ვადების დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5 და მე-17 მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის Nგ-1/319/2016 გადაწყვეტილების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა საფეხურის საგამოცდო პროცესთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების წესი, პირობები და ვადები“ თანდართული სახით.
2. ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული წესის გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე უზრუნველყოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა.
3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, უნივერსიტეტის ყველა საგანმანათლებლო ერთეულს, ადმინისტრაციულ და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს.

გიგა ზედანია

რექტორი